ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი (DL-101)

DL-101

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

WIPO
WORLD INTELLECTUAL PROPERTY ORGANIZATION

ზოგადი აღწერა

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიის დისტანციური სწავლების კურსი DL-101 საშუალებას აძლევს მონაწილეებს შეისწავლონ ინტელექტუალური საკუთრების (IP) საფუძვლები სახლიდან გაუსვლელად, მათთვის მოსახერხებელ დროს, ხოლო კურსის ბოლოს გაიცემა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტისა“ და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ერთობლივი, საერთაშორისო სერტიფიკატი.

აღნიშნული კურსის გავლა არის აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ შემდგომში დაინტერესებულმა პირებმა შეძლონ ინტელექტუალური საკუთრების ცალკეული დარგების შესახებ WIPO-ს აკადემიის მიერ შემუშავებული დისტანციური სწავლების სხვა სპეციალიზებული კურსების შესწავლა.

DL101GE კურსი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ დისტანციური სწავლების პირველი კურსია, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) აკადემიასთან თანამშრომლობის შედეგად, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ მიერ ქართულად ითარგმნა და შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საქართველოს კანონმდებლობასთან.

DL101GE კურსზე რეგისტრაცია შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

შინაარსი და სტრუქტურა

კურსი მოიცავს 13 მოდულს, რომლებსაც მოჰყვება საბოლოო გამოცდა:

- **მოდული 1:** შესავალი ინტელექტუალურ საკუთრებაში;
- **მოდული 2:** საავტორო უფლებები;
- **მოდული 3:** მომიჯნავე უფლებები;
- **მოდული 4:** სასაქონლო ნიშნები;
- **მოდული 5:** გეოგრაფიული აღნიშვნები;
- **მოდული 6:** დიზაინი;
- **მოდული 7:** პატენტები;
- **მოდული 8:** არაკეთილსინდისიერი კონკურენცია;
- **მოდული 9:** რეგისტრაციის საერთაშორისო სისტემები;
- **მოდული 10:** მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვა;
- **მოდული 11:** ინტელექტუალური საკუთრება და განვითარება;
- **მოდული 12:** შესავალი ტრადიციულ ცოდნაში, ტრადიციულ კულტურულ გამოხატულებებსა და გენეტიკურ რესურსებში;
- **მოდული 13:** შეჯამება და დისკუსია;
- **საბოლოო გამოცდა.**

ყოველ მოდულში არსებული თვითშეფასების საშუალებები და აუდიო-ჩანაწერები ეხმარება მონაწილეებს მასალის უკეთ გააზრებასა და საკუთარი ცოდნის შეფასებაში.

სწავლება

კურსის მსვლელობისას გათვალისწინებულია აკადემიური მხარდაჭერა; მონაწილეებს შეუძლიათ ონლაინ რეჟიმში დაუსვან შეკითხვები ტუტორებს - ექსპერტებს ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

ონლაინ დისკუსიები, დავალებები და ვებინარები

WIPO-ს აკადემიის ელექტრონული სასწავლო პლატფორმის გამოყენებით, კურსის მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ დაუსვან შეკითხვები გამოცდილ ტუტორებს, ასევე, მოაწყონ დისკუსია და ინტელექტუალური საკუთრების ექსპერტებთან ერთად განიხილონ პრეცედენტული საქმეები. კურსის ფარგლებში დანერგილ სიახლეს წარმოადგენს ონლაინ ვებინარები.

საბოლოო გამოცდა	საბოლოო გამოცდა შედგება შეკითხვებისა და სავარაუდო პასუხებისგან. მონაწილეებმა განსაზღვრულ დროში უნდა დაასრულონ მუშაობა და ელექტრონულად გადააგზავნონ საგამოცდო ტესტი. კურსის დასრულებამდე ერთი კვირით ადრე, მონაწილეები მიიღებენ დეტალურ ინსტრუქციას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ საგამოცდო ტესტებზე წვდომა.
სერტიფიკატი	საბოლოო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, გაიცემა საერთაშორისო ელექტრონული სერტიფიკატი.
ხანგრძლივობა	კურსის ხანგრძლივობა 6 კვირაა და, ამ ხნის განმავლობაში, კურსის მასალის გაცნობას დაახლოებით 60 საათი უნდა დაეთმოს.
მიზნობრივი ჯგუფი	კურსი განკუთვნილია ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის, ვისაც სურს მიიღოს ზოგადი ცოდნა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, განსაკუთრებით, სტუდენტებისთვის, ახალგაზრდა მეცნიერებისთვის, ადვოკატებისთვის და სხვ.
რეგისტრაცია	დისტანციური სწავლების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის: WIPO-ს აკადემიის ვებ-გვერდის ბმული კურსზე რეგისტრაციისთვის, WIPO-ს ვებ-გვერდის მომხმარებელთა ცენტრში რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქცია ქართულ ენაზე) ხელმისაწვდომია საქპატენტის ვებ-გვერდზე, განყოფილებაში „სასწავლო ცენტრი“ შემდეგ ბმულზე: http://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/181/
სწავლების ენა	DL-101 კურსს WIPO-ს აკადემია სთავაზობს გაერო-ს ექვს ოფიციალურ ენასა (არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური) და, ასევე, პორტუგალიურ ენაზეც. ის ხელმისაწვდომია, აგრეთვე, უსინათლო, მხედველობა-დაქვეითებული და სხვაგვარად მხედველობაშეზღუდული პირებისთვის განკუთვნილ ფორმატშიც. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული უწყებები დისტანციური სწავლების აღნიშნულ კურსს სთავაზობენ ბულგარულ, კამბოჯურ, ხორვატულ, ტაილანდურ, ვიეტნამურ და ქართულ ენებზე. WIPO-ს აკადემიასთან თანამშრომლობის შედეგად, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიერ DL-101 კურსი ითარგმნა ქართულ ენაზე, გადამუშავდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და განთავსდა WIPO-ს აკადემიის ელექტრონულ პლატფორმაზე.
გადასახადი	კურსი უფასოა
საკონტაქტო ინფორმაცია	საორგანიზაციო და ადმინისტრაციული ხასიათის შეკითხვების შემთხვევაში, მიმართეთ კურსის ადმინისტრატორთა გუნდს შემდეგ მისამართზე: DL101GE@sakpatenti.org.ge